


საგზაო

საერთო გაზეთი ორშაბათი 20 ივნისი 2005 №137 (2460)

ფასი 50 თეთრი



მამაკაკური
1:2 ვიტალების
შანსია
ინტერტოტოს
თასი
დაიწყო



გადაწყდა:
აფხაზეთი
უმაღლეს
ლიგაში
სოხუმის
დინამოს
შორშოლიანო
გაფრთხიდა



ვინ გაიჯაჯილავს
უიგლდონის
კონიდარზე
დღეს
უიგლდონის
ტურნირი
იწყება



ქართული ოქროს უმჯობესი



ორი დიდი ფალაგნის, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირებისთვის თბილისის სპორტის სასახლეს არაერთგზის უმასპინძლია, მაგრამ წლევანდელი შეჯიბრება სრულიად გამორჩეული იყო. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები შაბათ-კვირას ხალიჩაზე ერთდროულად გავიდნენ და ორ დღეში ორივე სახეობის შვიდივე წონით კატეგორიაში მოასწრეს ასპარეზობა.

მეთე და მეთერთმეტე გვერდები

გივი კარტოზია

მადრი კაშილაძის ფოტო

ინტერტოტოს თასი 2005

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

მამაკაცური 1:2 ვიტალები უანსია

პაპა. 19 ივნისი. 20 საათი. შარპინი

ლომბარდ პაპა 2:1 ვიტა ჯორჯია

10 ტ. საბო (59), 11 ებანოიძე (90), 2:1 ტ. საბო (90ა)

ლომბარდ პაპა: დომბაი, ვ. ფარკაში, ა. ფარკაში, მუტიკა, დერი, ზ. საბო (კინსეში 46), ლასკა, ტ. საბო, კოვრიგი, პერსეგვი, პერსეგლავი (ჩაზარი 80)
მწვრთნელი: ლაზარ სენტიანი

ვიტა ჯორჯია: ბედიშვილი, გ. კვახაძე, დ. ლომია, გველესიანი, იმედაშვილი, ბ. დათუნაშვილი, დიდელაშვილი, რაზმაძე, ფიქრიშვილი (გ. დათუნაშვილი 40), ვ. გოჭაშვილი (ებანოიძე 40), სხლოკია (აბშილაძე 89)
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ბაჰამები: გ. დათუნაშვილი (88)

მსაზღვრე: მ. რადესი (ანდორა)



ბალაშ ლასკას (№6) „ლომბარდ პაპა“ ირაკლი ებანოიძის გამთანაბრებელმა ვერ გატეხა

ბუშინი თბილისის „ვიტა ჯორჯიაში“ ქართული ევროსეზონი გასსნა. „თბილისის“ ნაცვლად ევროპაში გასული ვეტერინარები უნგრეთის ჩემპიონატის მეთოთხმეტე-ადგილოსან „ლომბარდ პაპას“ ესტუმრნენ და ინტერტოტოს გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში 1:2 დამარცხდნენ.

ასეთი ანგარიშის შემდეგ რეალურად ჩანს „ვიტა ჯორჯიას“ მეორე ეტაპზე გასვლის შანსი — ერთი კვირის შემდეგ ჩვენებს 1:0-იც დააკმაყოფილებთ, თანაც თბილისურ მატჩში დისკვალიფიკაციამოხდელი მეგობრული მარცვალაძეც დაუბრუნდება და არც დაცვის ბურჯ თენგიზ კობიაშვილის გამოჯანმრთელება გამორიცხული.

გუმინდელ შეხვედრაში პირველი ტაიმი უგოლოდ, თუმც თბილისელთა ორი შეცვლით ჩამთავრდა — ნესტორ მუმლაძემ გიორგი ფიქრიშვილი და ვლადიმერ გოჩაშვილი მე-40 წუთზე გიორგი დათუნაშვილით და ირაკლი ებანოიძით შეცვალა.

გოლები შესვენების შემდეგ გავიდა. მასპინძელთაგან ორჯერვე ტიბორ საბომ იყოჩადა, თუმც ვიდრე ისე მეორედ დაამწუხრებდა ვიტალებს, იქამდე ანდორელმა არბიტრმა მანუელ რადესმა გიორგი დათუნაშვილი მოედნიდან გააძევა, ხოლო ირაკლი ებანოიძემ კარის სახლოვიდან შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

საინტერესოა, რომ ებანოიძემ გოლი ძირითად დროს წამატებულ პირველ წუთზე გაიტანა. ტიბორ საბომ კი გამარჯვებისა პენალტით, სულ ბოლო, 94-ე წუთზე შეაგდო.

ლუბა თალაგაძე

აბრაიმიკა დინამო დასილავით გაასილა სიურპრიზი თბილისში და ყველაფერი ნაცნობი რუიტში



მურამ დოლოვანაშვილის ფოტო

საფეხბურთო რისხვითა თეორია კოლხეთი და დილა უაღლესში რჩებიან



გაბრიელ კოლოლიას ფოტო

რაგბიანი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში? კითხვა, რომელიც დღევანდელ საფეხბურთო საქართველოში ძალიან აქტუალურია, ჯერაც უპასუხოდა. 10, 12, 14, 16 — მარჩიელობა, იცოცხლეთ, იოლია, მაგრამ რომელია მართალი და რომელი ტყუილი, ძნელი სათქმელია.

აგერ, მაგალითად, წინა ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გასული, ანუ ლიგიდან გაგარდნილი ფოთის „კოლხეთი“ უკვე გარანტიებზე ლაპარაკობს.

— გვითხრეს, რომ მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ. ახალმა ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება მიიღო და ლიგაში დაგვტოვა — გვითხრა გუშინ კოლხთა თავკაცმა სერგო გაბელაიამ.

ფოთელები დღეს ნოდარ ახალკაცს ხვდებიან და ალბათ ამ საკითხს საბოლოოდ დაესმება ბეჭედი — „კოლხეთი“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

— ფედერაციის პრეზიდენტის გარდა ხვალ კლუბის პრეზიდენტ თემურ მიმინოშვილსაც შეეხვებიან და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებთ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება და „კოლხეთს“ მომავალ სეზონში ნორმალური პირობები ექნება — იმედინადაა გაბელაია.

ამასობაში „კოლხეთიდან“ ფეხბურთელები მიდიან, მაგრამ: „ოფიციალურად გუნდიდან არავინ გავექცევი. ვინც გვეჭირდება, იმას დავიბრუნებთ, ხოლო ვინც არ გამოგვადგება, კალთებს არც ჩამოვახვეთ“ — ამბობს გაბელაია.

შეიტყვეთ ისიც, რომ „კოლხეთის“ გარდა ახალკაცს დღეს გორის „დილას“ ხელმძღვანელობაც შეეხვება და ვინძლო ორივე გუნდს ოფიციალურად დაერთოს უმაღლეს ლიგაში თამაშის ნება.

ბასა ზალაგაძე

თბილისის „დინამო“ გერმანულ რუიტშია და ახალი სეზონისთვის მზადებას კარგად ნაცნობ გარემოში განაგრძობს.

რუიტში გამგზავრების წინა საღამოს „დინამოს“ თავკაცმა კახა ცხადაძემ გერმანიაში წასაყვანი 23-კაციანი სია კი გამოაცხადა, მაგრამ... უცნაური ამბავი აეროპორტში მოხდა: როცა „დინამო“ თეითმფრინავში ჩასხდომისწინა რეგისტრაციას გადიოდა, ვალერი აბრამიძე აეროპორტში მამინ მივიდა და გუნდის ხელმძღვანელებს გამოუცხადა, რომ ოჯახური პრობლემების გამო „დინამოს“ შეკრებაზე ვერ გაჰყვებოდა. დინამოელებმა იმარიფათეს და აბრამიძის ნაცვლად რუიტში „დინამო 2“-ის ნახევარმცველი ნიკა ფირცხაღაა გაიყვალეს. რაც შეეხება აბრამიძეს, რომელმაც წინა სეზონი აზერბაიჯანულ „ნეფთჩიში“ ჩაამთავრა, აეროპორტში ისიც უთქვამს, „დინამოში“ დარჩენას აღარ ვაპირებო. არადა, კლუბის უფროსობა მასთან ორიოდ დღით ადრე ყველანაირ პირობაზე შეთანხმებული იყო, ფეხბურთელი კი „დინამოსთან“ ერთად გულმოდგინედ ემზადებოდა.

გუშინ, როცა აბრამიძეს შეეხებოდა ანუ, მანაც თითქმის იგივე გეითხრა:

— „დინამოს“ მართლაც პირადი პრობლემების გამო არ გავყვევი გერმანიაში. ჩათვალეთ, რომ ეს ტრანსფერი უკვე ჩაიშალა.
— უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვი, მიზეზი რა არის?
— პირადი პრობლემები.
— „დინამოსთან“ ხომ ყველაფერზე შეთანხმებული იყავი?
— კი, თითქოს...
— აბა, რა მოხდა?
— მეტს ვერაფერს ვეტყვი.
— ცოტა უცნაური არ ჩანს ეს ყველაფერი?
— ასეთს ვერაფერს ვხედავ. პირადი პრობლემები უცნაურობაა?!
— ახლა რას აპირებ?
— რა უნდა ექნა?! „ნეფთჩიში“ დაგბრუნდები...
მოკლედ, აბრამიძემ „დინამო“ დატოვა. რუიტში ჩასულმა დინამოელებმა კი გუშინ დილით და საღამოს იყარჯიშეს. კახა ცხადაძე შეგირდებს დღესაც ორჯერ დატვირთავს, ხვალ ჩემპიონები ორმხრივ მატჩს ჩაატარებენ, 23-ში კი ოპერლივის „ფორტციანთან“ ითამაშებენ. სხვათა შორის, შარშან ამ გუნდს „დინამომ“ 5:2 მოუგო.

კობა ინასარიძე



ბატონი აბოილაშვილი ფოტოები



„ტორპედოს“ თავაკი ოთარ გაბელია: ეს ვათამაშო უფასო თასზე!

ტორპედო პარჯიშოვს და არს პარჯიშოვს ოთარ გაბელია: უფასო რობორმ გადავაბორებთ, მერი კი მთავრობის ჯერია

რობორც ჩანს, ქუთაისის „ტორპედო“ უფასო თასზე ჯანჯალ-ჯანჯალით როგორმე ითამაშებს და ახალი სეზონიდან ქალაქის მერიასზე იქნება დამოკიდებული. ქუთათურებს 18 ივნისს უნდა დაეწყოთ საუფასო საშადისი, მაგრამ შეკრება შეკრებას არ ჰგავს — ფეხბურთელთა დიდი ნაწილი არ ვარჯიშობს, ისინი გუნდიდან წასვლას აპირებენ. რაც უნდა იარო, აქეთ-იქით მოედო, თავიდათვი უფულობაა და თუ რა ხდება დღეს „ტორპედოში“, მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია გვეტყვის... „ამჟამად თბილისში ვარ, გუნდი სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობს. მე ველაპარაკე „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს, რომელიც გაურკვეველობაშია. მოგეხსენებათ, კლუბის ანგარიშს ყადაღა ადევს, გამოძიება ისევ გრძელდება და თუ თანხის გადახდა დაგვევალა, ხინიკაძე ვერაფერს გახდება — რატომ გადაიხდის სხვის მიერ დაგროვილ

ვალებს?! დავით გამეზარდაშვილს, გიორგი მემარნიშვილს, ალექო კოშკაძეს და დავით ბოლქვაძეს კონტრაქტები დაუმთავრდათ, ვია მეგრელაძისა და ვია ნერგაძის „დინამოში“ გადასვლის ამბავი კი გვეცოდინებათ — გაბელია ამბობს, კონტრაქტდარსებულები თანხას ითხოვენ, რათა „ტორპედოში“ დარჩნენ, კლუბს კი სახსრები არ აქვს. ქუთაისელთა თავაკი შეფიქრებულა, რა აზრი აქვს გავარდნა-არგავარდნის ზღვარზე მყოფ გუნდში გაჩერებასო. მისი თქმით, „ტორპედო“ უფასო თასზე ავად თუ კარგად ითამაშებს, მერე კი ზურაბ ხინიკაძე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან გარკვევს, მიეცემათ თუ არა შეღავათები ფეხბურთში მოტრიალე ბიზნესმენებს. „თუ ისევ ასეთი უფულობა იქნება, ჩათვალეთ, რომ ევრომატჩების შემდეგ „ტორპედოდან“ წამოვალ. უბრალოდ, შუა გზაზე ვერ მივატოვებ გუნდს. ხინიკაძემ და ნანიკაშვი-

ლმა ადღენ ხანს შეინახეს გუნდი და ასე ხელალებით წამოსვლა არ იქნება კარგი საკციელი. როცა ქუთაისში ჩაველი, თავიდან ველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ ნელ-ნელა უსახსრობამ იჩინა თავი, ასეთ მდგომარეობაშიც კი ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლეთ, სხვა გუნდი ჩვენს ადგილას ყურებს ჩამოყრიდა“ — თქვა გაბელიამ. „ტორპედოში“ ახლა ახალგაზრდები ვარჯიშობენ. მათი უმეტესობა მეორე გუნდიდანაა, ასევე გუნდთან ერთად არიან კახა წუწუნავა და გიგლა ახალაია — მოკლე, ისინი, რომლებიც გასულ სეზონში ძირითადად იშვიათად ხვდებოდნენ. თავდაპირველ რევაზ ჯიქიას ბელიც გაურკვეველია. მას ისევ რუსეთში სურს წასვლა, თუმცა უფასო თასზე, ალბათ, მაინც ითამაშებს. „არც ის გვინდა, 0:10 წაგავით და სირცხვილი გვამოთ ევროპაში. ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ. მათ შორის ყოფილი

თბილისის დინამოელი ფორვარდი მხეცილ კაკულაძეც მოიაზრება. არაა გამორიცხული, ვაშკინაზარდაშვილი და სხვა კონტრაქტდამთავრებულებიც დარჩნენ, მაგრამ ვიმეორებ ეს არ შემთხვევაში, თუ ნორმალური პირობები იქნება. ჯერჯერობით კი მსგავსი არაფერია შეიძლება, მგონი, ახალგაზრდა ფეხბურთელებით მოვიწვევს უფასო თასზე თამაშს“ — შეეიტყვეთ, რომ შესაძლოა, კავკასიის ერთად „ტორპედოში“ გადავიდეს თბილისის „დინამო 2“-ის 20 წლის შემსრულებელი მხეცილი კობა შალამბერიძეც. მოკლე, ველაფერს საქართველოში, მთავრობის გადაწყვეტილებისკენ მივყავართ. მისი ზნესმენებს თუ შეღავათები დაუწყებდათ, ხომ კარგი, თუ არადა... „ტორპედოში“ მის მიხედვით, თბილისი, სახელმწიფო თბილისის კლუბის შენახვას როგორ მოახერხებს, თაყვალს განსაჯეთ... ილია ნანობაშვილი

ბათუმში გუნდი გუნებრივად დაიშალა და იურიდიულად დაიგადა აჭარელთა იტალიური მარიანტი

ბათუმში მალე იტალიური „ფიორენტინას“ ვარიანტი გათამაშდება. ვალეებში ჩაფლული საფეხბურთო კლუბი ბათუმის „დინამო“ თვითილიკვიდაციის პირასაა, ხოლო ამ სახელოვანი კლუბის ნაცვლად საქართველოს ჩემპიონატში ახალი იურიდიულ საფუძველზე შექმნილი გუნდი ითამაშებს. აღარ იქნება ბათუმის „დინამო“, იქნება, ვთქვათ, „დინამო ბათუმი“, ანუ სულ სხვა იურიდიული სუბიექტი. — დღესდღეობით „ბათუმს“ არა-

ნაირი აქტივი არ აქვს, ეს კლუბი ვალეებშია, თუმცა ქალაქს უმადლეს ლიგაში გუნდი მაინც ეყოლება, უკვე გადაწყვეტილია, რომ ბათუმში ახალი კლუბი ჩამოყალიბდება. ამ ახალი გუნდის ფეხბურთელები კი უკვე სამი დღეა, შეიკრიბნენ და მომავალი სეზონისთვის ემზადებიან — გვითხრა აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა — ახალი კლუბის დამფუძნებლები სპონსორების დაინტერესებას ცდილო-

ბენ და მალე ეს პრობლემაც მოგვარდება, რაც მთავარია, აჭარის მთავრობა დაინტერესებულია, რომ რეგიონის ძლიერი გუნდი ჰყავდეს. თავში ნახსენები იტალიური „ფიორენტინას“ მარშანწინდელი ამბავი კი, ალბათ, გახსოვთ. გაკოტრებული კლუბის ნაცვლად ფაქტობრივად იგივე სახელწოდებით, ოღონდ იურიდიულად სხვა, ახალი კლუბი ჩამოყალიბდა. იგივე ხდება ახლა ბათუმშიც. — ლუბა თალაგვაძე



მხეცილ კაკულაძე და კობა შალამბერიძე: „სიონი“ თუ „ტორპედო“?

სიონი ასი პროცენტით შეიშვალა

ბოლნისის „სიონი“ ახალ სეზონს გადასხვაფერებული შეხედება. მწვრთნელის, ზვიკა ქასრაშვილის თქმით, გუნდში ძველებიდან თითქმის აღარავინ დარჩა — ზოგს კონტრაქტი დაუმთავრდა, ზოგიც ტრანსფერზეა დაყენებული. წამსვლელთა არასრული სია ასეთია: თენგიზ უგრეხელიძე, დავით ქოქიაშვილი, დავით დათვაძე, კახა სიღამონიძე, ირაკლი ვაშაკიძე, შალვა ისიანი, მამუკა რუსია. ამასობაში „სიონმა“ თბილისის „დინამოდან“ ნახევარმცველი ლევან ზმაღაძე დაიმატა, რომელიც წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „ბათუმში“ იყო განათხოვრებული.

ბოლნისელები კიდევ არაერთ ფეხბურთელს უტრიალებენ უფრო კი „დინამოს“ და „დინამოს 2-ის“ მითამაშებს — კონკრეტულად, მხეცილ კაკულაძეს და კობა შალამბერიძეს ლაპარაკი. „სიონი“ დღეს იწყებს ვარჯიშს და, ზვიკა ქასრაშვილის თქმით, გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელია გასინჯვას, თუმცა მათ შორის სახელიანი არაყინაა. ბოლნისელები შეკრებას ვრიგოლეთში გაივლიან, მაგრამ ზუსტად როდის, ჯერ უცნობია. გააჩნია, როდის დაიწყება სეზონი, კვიისხრა ქასრაშვილმა. ილია ნანობაშვილი



სიზანნიშვილი იტალიაში წავიდა

თუ რეინჯერსში დაბრუნდები, ბრიტანელი გამსვლელი



რეინჯერსელი ზურაბ სიზანნიშვილის ველზენიერებების „შალკეში“ ტრანსფერი გაჯანჯლდა, თუმცა ისიცაა, რომ „ხუმარებს“ სხვა ახალი მცველი ჯერ არ შეუძენიათ — სიზანნიშვილის შესაძლო ბუნდესლიგური ტრანსფერი კვლავაც აქტუალურია.


ზურა გუმინ ნავიდა თბილისიდან, მაგრამ არც გერმანიაში და არც შოტლანდიაში — სიზანნიშვილი იტალიაში გააგრძელებს შევებულებას და გამგზავრებამდე მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

— რა სტადიაზეა შენი „შალკეში“ გადასვლა-არგადსვლის საკითხი?
— უკვე ოთხი დღეა, ჩემს აგენტ ივან ბენეშთან არ მილაპარაკია და ახალს ვერაფერს ვეტყვი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ბენეში გერმანიაში იყო ჩასული და მისგან ახალ ამბებს ველო.
— დაახლოებით ერთი თვის წინ ბენეში „სარბიელს“ უთხრა, „შალკეს“ გარდა სიზანნიშვილით „ჰამბურგისა“ დაინტერესებული...
— გეტყვით მხოლოდ იმას, რომ „ჰამბურგზე“ უფრო „შალკეში“ მსურს გადასვლა.
— თუ ბუნდესლიგაში ვერ გა-

დახვალ, მაშინ სად გააგრძელებ თამაშს?
— „რეინჯერსში“. ყველაფერი ათ დღეში გადაწყდება.
— და რა მოხდა „რეინჯერსში“ გასული სეზონის მეორე ნახევარში? გუნდის დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა მყის, თითქოს ერთი ხულის მოსმით ამოგაგლო ძირითადი შემადგენლობიდან მიუხედავად იმისა, რომ ყოფიანის შემდეგ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი ორი წლით, 2008 წლამდე გააგრძელე...
— მაკლიშთან ამის შესახებ სეზონის დასრულების შემდეგაც არ მილაპარაკია. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ მიიღო მაკლიშმა ასეთი გა-

დაწყვეტილება. ეს ალბათ მხოლოდ მან იცის და თუ „რეინჯერსში“ გააგრძელებ თამაშს, ალბათ დამლაპარაკება ამ საკითხზე.
— BBC-მ გააგრძელა ცნობა, რომ „რეინჯერსი“ შენში დაახლოებით 500 000 გირვანქას ითხოვს...
— ამის შესახებ მეც მხოლოდ პრესიდან ვიცი.
— ნაკრებზეც ვთქვით. ისე ჩანდა, თითქოს ალბანეთთან ტირანული მატჩი თამაშამდე იყო წავებული...
— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ მატჩისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი აღარ გვექონდა, შეიძლება ითქვას, რომ ასე იყო, თორემ მოედანზე წასვლებად ნამდვილად არ გავსულვართ.
— ამ თამაშს საგანგებოდ დაუსწრო „შალკეს“ მწვრთნელი რაფ რანგნიკი...
— ჩვენგან ამ თამაშში საკუთარი თავით კმაყოფილი ვერაინ და რჩებოდა, მეც უკმაყოფილო ვიყავი, თანაც უთამაშებელი გახლდით. რანგნიკი მატჩის წინ და შემდეგ მესაუბრა. კონტრაქტზე არ გვილაპარაკია, ამის უფლებაც არ გვექონდა, უბრალოდ, ერთმანეთი გავიცანი და მკითხა, ბუნდესლიგაში თამაშის სურვილი თუ გაქვსო, რადგან ისეთი კატეგორიის ფეხბურთელებიც არსებობენ, ამა თუ იმ ქვეყანაში თამაში რომ არ უნდათ. ჩემთვის გუნდს ვაჩნია, თორემ ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში თამაშზე, როგორც ვერმანიაა, უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი.
— თუ გერმანული ტრანსფერი არ გამოვა, კვლავ „რეინჯერსში“ ვითამაშებო — უკვე ოთხნახევარი წელია, შოტლანდიაში ხარ და ამდენი ხანი ერთ ქვეყანაში თამაშის ფსიქოლოგიურად დამძლეული არ არის?
— ხალხი მთელ ცხოვრებას თბილისში ატარებს და... ისე, ამდენი ხანი შოტლანდიაში თამაში მართლაც დამძლეულია, მაგრამ როცა აცნობიერებ, თუ რატომ და რისთვის ხარ იქ, მშვიდდები.
— ბრიტანეთის მოქალაქე რომ გახდე, იქ სულ ცოტა ხუთი წელი უნდა იცხოვრო...
— თუ „რეინჯერსში“ დავრჩები, მაშინ ბრიტანეთის მოქალაქეობას მივიღებ და ორმაგი მოქალაქეობა მექნება.

დავით თავართქილაძე



იპოუსი ხელისუფლებიდან და ფედერაციიდან: აფხაზეთი უპაღეს ლიგაში სოსუის დინამოს შორჟოლიანი გაფორმის

ესპე ნოდარ ახალკაცის სერიოზული, პოლიტიკური ნაბიჯი — სოსუის „დინამო“ ხელახლა შეიქმნა და უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.
სოსუის „დინამო“ საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში თამაშობდა, მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ გუნდი ორად გაიყო — იქით აფხაზები, აქით ქართველები. ქართველთა გუნდს „ცხუმი“ დაერქვა — „ცხუმი“ დღესაც არსებობს და რეგიონულ ლიგაში თამაშობს.
ახლადშექმნილ სოსუის „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელიც ჰყავს — ყოფილი მეკარე გონა ჟორჯოლიანი, ვინც ერთი ხანობა ჩინეთშიც კი თამაშობდა და საკმაოდ წარმატებითაც.
„გადაწყვეტილი, რომ გუნდისთვის ძველი სახელი „დინამო“ დაგვერქვია, რადგან სოსუის „დინამო“, ფაქტობრივად, აფხაზეთის ნაკრები იყო, სადაც ქართველიც თამაშობდა, აფხაზიც, ბერძენიც და სომეხიც“ — გვითხრა ჟორჯოლიანმა.
სოსუის „დინამო“ ხუთ დღეში შეიკრიბება თბილისში, თუმცა საშინაო

მატჩებს სად ჩატარებს, ჯერჯერობით უცნობია. „გვინდოდა, წყალტუბოში გავემართა საშინაო თამაშები, მაგრამ იქური ინფრასტრუქტურა ამის საშუალებას არ იძლევა. შესაძლოა, თბილისშივე ვითამაშოთ, თუ რომელ სტადიონზე ჯერ არ ვიცით“ — განვიმარტა ჟორჯოლიანმა.
უკვე დაწყებულია სოსუის „დინამოს“ დაკომპლექტება — ვალტერ გუზუა, ზაზა კვიციანი და ჯონი შალამბერიძე უკვე სოსუის დინამოელები არიან, მიმდინარეობს მოლაპარაკება მამუკა რუსიასთან, თენგიზ სიჭინავასთან და თემურ გადელიასთან.
— ყველა ეს ფეხბურთელი აფხაზეთიდანაა და კიდევ „დინამოს“ ჯერჯერობით მხოლოდ კრძო პირები აფინანსებენ და კლუბი ქვეყნის ბიუჯეტიდან არ სუბსიდირდება.
უკვე ცხადზე ცხადია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ათუნდინ ჩემპიონატს აღარ ჩატარებს — გუნდების რაოდენობა ალბათ თექვსმეტამდე გაიზარდება.

დავით თავართქილაძე

ბორჯომი თბილისს მიადგა

მიხეილ მესხმა და რევაზ გეწამემ ახალ სეზონში ევბ „ბორჯომში“ ითამაშონ. ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი ლიგის დებიუტანტებს „თბილისის“ ნახევარმცველების დამატება ძალიან სურთ. ბორჯომელები უახლოეს დღეებში დაიწყებენ ვარჯიშს და, სავარაუდოდ, გუნდი შესაძენველად გადახალისდება.
სოსო ფრუიძის გუნდში კიდევ ერთი თბილისელის — ახალგაზრდა გიორგი ფოფხაძის გადასვლასაც ელოდენ, თუმცა, როგორც „ბორჯომის“ მწვრთნელმა თქვა, მასთან მოლაპარაკებას არ აწარმოებენ. ფოფხაძით თბილისის „ლოკომოტივი“ დაინტერესებული, ფეხბურთელი უნდა შეხვედროდა კიდევ რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელებს, მაგრამ ჯერ არც ამ საკმიდან გამოსულა რამე.

ლუბა თალაგვაძე

აზერბაიჯანში ქართული ლეგიონი ფართოვდება


ბრიუნიკაზვილი, თედორაძე, დარჩიძე...



სოსო გრიშვიშვილი



ბეგლარ თედორაძე



ვიტალი დარჩიძე

ალეკო გოგობერიშვილი, თებერვალში რომ გადავიდა თბილისის „ლოკომოტივიდან“ აზერბაიჯანულ „ბაკიში“, კვლავ იქ ითამაშებს — გიორგი ბერიშვილი „ბაკისთან“ კიდევ ერთი წლით გააფორმებს ხელშეკრულებას.
ალბათ „ბაკიში“ გადავა „თბილისის“ მეკარე სოსო გრიშვიშვილიც — ის უკვე ბაქოშია. მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ქართველთა ახალი აზერბაიჯანული ტრანსფერები — „ბათუმისა“ უკვე აიბარგენ 21 წლის ბეგლარ თედორაძე და 23 წლის ვიტალი დარჩიძე — თუ რომელ აზერბაიჯანულ გუნდში ითამაშებენ ისინი, მალე გაირკვევა.
აზერბაიჯანშივე, ბაკოს „ხაზარში“ აპირებს დაბრუნებას „ხესტაფონიდან“ წასული ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილიც.

ლუბა თალაგვაძე



ფიფას კონფედერაციის თასი 2005 გერმანია. 15-29 ივნისი

გაგზავნი სასლუი მიღიან უფიფი ფილი გაიხად მოგა



საბრალო მარე შვარცერს ლუჩანო ფიგეროამ ბადიდან ბურთი სამეგრ გამოატანინა

A ჯგუფი. II ტური ავსტრალია 2:4 არგენტინა

0:1 ფიგეროა (12), 0:2 რიკელმე (31), 0:3 ფიგეროა (53), 1:3, 2:3 ალოიზი (61, 70), 2:4 ფიგეროა (89)

ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი (ვიდუკა 46), მური, მილიჩევიჩი (მაკკინი 56), ნაილი, ვიდმარი, ემერტონი, სკოკო (კულინა 74), ჩეპილი, ჩიპერფილდი, ალოიზი
მწვრთნელი: ფრენკ ფარინა
არგენტინა: ლუქა, ძანტი, სამუელი, კოლოჩინი (გ. როდრიგესი 86), სორინი, პაი-ნეცე, ბურნარდი, სანტანა (კამბიასო 66), რიკელმე, სავიოლა (აიზარი 73), ფიგეროა
მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი
გაფრთხილება: სამუელი, ნაილი, ემერტონი, ჩეპილი, მური
მსაჯი: შამსულ მადიინი (სინგაპური)
42 000 მაყურებელი

ავსტრალიელთა 4:2 ძლევის შემდეგ, არგენტინის ნაკრების თავკაცი ხოსე პეკერმანი ამბობდა: „კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდმა მართლა ძალიან კარგად ითამაშა. ტექნიკის თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად, რამდენიმე დიდებული ეპიზოდი შეეკმენით და რაც ყველაზე მთავარია, საგოლე მომენტები გამოვიყენეთ. დიახ, მოწინააღმდეგემ მეორე

ტაიმში გოლები გაგვიტანა, მაგრამ ვიმეორებ, მთელ თამაშს თუ გავიხსენებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ კმაყოფილების საბაბი გვაქვს“. ავსტრალიელთა თავკაცი, ფრენკ ფარინა: „პირველ ათ წუთში კარგად, მწკავედ ვთამაშობდით, მაგრამ არგენტინამ პირველივე შეტევით გაგვიტანა და მას მერე, კაცმა რომ თქვას, ბოლომდე გონს კვლავ მო-

ვეგეთ. სამწუხარო იყო დაცვის ბავშვური შეცდომებიც, არადა, ამ დონეზე ფეხბურთელები წესით, ასეთ შეცდომებს აღარ უნდა უშვებდნენ. შესვენების შემდეგ ტაქტიკურად გამოვცვალე რაღაცები, კერძოდ დაცვაში მარტო სამი დავტოვე და ვფიქრობ, ამან მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა, მაგრამ ეს მაინც არ გამოდგა საკმარისი“.

საინტერესოა ფეხბურთელების მოსაზრებებიც.

ზუან პაბლო სორინი: „ყველა ღონე ვიხმარეთ, მეტოქე მუდმივად ზეწოლის ქვეშ რომ გვეყოლოდა. ახლა გერმანიასთან დაგვრჩა სათამაშო და ის მატჩი გადაწყვეტს ჯგუფში პირველ-მეორის ბედს, მაგრამ შემიძევ ეტაპზე რომ დავიბრუნო ადგილი, უკვე ძალიან მნიშვნელოვანია“.

პაბლო აიზარი: „ამ შეჯიბრებაში არგენტინის ნაკრების მასიურით თამაში ძალიან სასაიმეონოა, მაგრამ ვაისამდე ანუ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ძალიან ბევრი რამ შეიძლება“.

ასე და ამგვარად, არგენტინა ნახევარფინალშია. ნიუნბერგში გამართულ შეხვედრაში სამხრეთამერიკელთა ოთხი გოლიდან ავსტრალიელთა კარში სამი ლუჩანო ფიგეროამ შეაგდო. თავიდან, მატჩის პირველ მონაკვეთში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ორები იოლად არაფერს დათმობდნენ, მაგრამ მათი მწკრივლის ზემოთ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, არგენტინელების პირველმა გოლმა ყველაფერი ცირაზე დააყენა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელთა გუნდში გამოირჩეოდა შეტევითა შემოქმედი ზუან რომან რიკელმე, რომელიც თავისიანთა კომბინაციების სათავეებთან იდგა.

აპაუნა კილია

ტუნისი 0:3 გერმანია

0:1 ბალაკი (74), 0:2 შვინსტაიგერი (80), 0:3 პანე (88)

ტუნისი: ბუმნიფელი, აბდი, ჯაზირი (ბენ საადა 83), ტრაბელსი, ნაფტი, გოდბენე (ნამუში 59), სანტოსი, მნარი, ჩადლი, ჯაიდი, კლეიტონი
მწვრთნელი: როჟე ლემერი
გერმანია: ლემანი, ფრიდრიხი, შუთი, მერტესაკერი, შიკლშპერგერი (შნაიდერი 68), ფრინგსი, დაისლერი, შვინსტაიგერი, ბალაკი, ასამოა (კურანი 62), პოდოლსკი (პანე 87)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: ჯაიდი, ფრიდრიხი, აბდი
მსაჯი: პეტერ პრენდერგასტი (იამაიკა)
45 000 მაყურებელი

კიოლნში გერმანიის ნაკრებმა ტუნისელებს სამი გოლი ბოლო თექვსმეტ წუთში გაუტანა და ნახევარფინალში დაიბევა ადგილი. აღსანიშნავია, რომ „ბუდვაიზერის“ დაწესებული მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიხაელ ბალაკს ერგო. სწორედ ბალაკი გამოდგა ის ფეხბურთელი, რომელმაც 74-ე წუთზე გატანილი პენალტით თამაშის ბედი გერმანელთა სასარგებლოდ ბოლოსკენ წარმართა. გარდამტეხ მომენტის შემდეგ უკვე ბასტიან შვინსტაიგერმა და მაიკ პანემ დაამატეს მეორე და მესამე წინა თამაშთან შედარებით გერმანელთა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ძირითად შემადგენლობაში სამი სიახლე შესთავაზა საზო-

პენალტაჟი და პენალტის შედეგ



იურგენ კლინსმანი შეგირდთა გარჯით კმაყოფილი დარჩა

გადობას. უპირველეს ყოვლისა, კარში ოლივერ კანის ადგილი იენს ლემანს ეცირა, ბერნდ შნაიდერის მაგივრად სებასტიან დაისლერმა ითამაშა, ხოლო კევინ კურანის ნაცვლად ჯერალდ ასამოა უტევედა მეტოქის კარს.

ხოლო ტუნისელთა მწვრთნელმა, ცნობილმა ფრანგმა როჟე ლემერმა წინა თამაშის თერთმეტეულიდან შეიდი გამოცვალა. შეხვედრას 45 ათასი მაყურებელი დაესწრო. მატჩის შემდეგ კლინსმანმა ბრ-

ძანა: „ძნელი თამაში იყო, მაგრამ ველოდით კიდევ ძნელ მატჩს. ტუნისელთა თამაში შესწავლილი მქონდა და ამ ნაკრებს უდიდეს პატივს ვცემ როჟე ლემერმა დიდებული გუნდი ჩამოაყალიბა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვახლ-

ვართ. პირველ 20 წუთში უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ ტუნისელებმა ტემპი ასწიეს და და მდგომარეობა გაგვირთულეს. შესვენებისას ფეხბურთელებს სამშვიდონა და ყურადღების ანგარიშის გახსნაზე გამახვილებისკენ მოუწოდე. მიხაელ ბალაკის გოლის შემდეგ კი სადავები უკვე ჩვენს ხელთ იყო“.

როჟე ლემერი: „75-ე წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლო თექვსმეტი წუთის გაძლება მეტისმეტად ძნელი გამოდგა. ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან გამოცდილება შევიძინეთ. ჩვენ ხომ ახალი გუნდის მშენებლობის საწყის სტადიაზე ვართ. ეს ტურნირი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დიდებული რეპეტიციაა. ცხადია, მეტად ძლიერი მოწინააღმდეგეების ბარიერებს ვაწყდებით. ასეთია გერმანია, რომელიც ბოლო ჩემპიონატის ფინალისტი. სამწუხაროდ, პენალტმა გავგვტეხა და ვფიქრობ, სწორედ ეს არის კიდევ განსხვავება დიდსა და პატარა გუნდებს შორის. პენალტის შემდეგ გერმანია წელში გაიშალა და კიდევ ორი შეაგდო, ჩვენ კი ვეღარაფერი გავაწყვეით“.

აპაუნა კილია

გერმანია	2	2	0	0	7:3	6
არგენტინა	2	2	0	0	6:3	6
ავსტრალია	2	0	0	2	5:8	0
ტუნისი	2	0	0	2	1:5	0





ფიფას კონფედერაციის თასი 2005

ბრაზილია. 15-29 ივნისი

ეს სანყალი ეპროპა...

B ჯგუფი. II ტური
საბარძნეთი 0:1 იაპონია
 0:1 ოგურო (76)
საბარძნეთი: ნიკოპოლიდისი, კირი-აკოსი, ტაფლარიდისი (ცარტასი 31), ფისასი, ლაკისი (პაპადოპულოსი 59), იანაკოპულოსი, ბასინასი, კაცურანისი, კარაგუნისი, ხარისტიასი, ვრი-ზასი (გეკასი 46)
მწვრთნელი: ოტო რეპაგელი
იპაზონია: კავაგუჩი, ტანაკა, მიამოტო, შ. ნაკატა, ოგასავარა (ენდო 74), ტამადა (ოგურო 66), ნაკამურა (კ. ნაკატა 89), იანაგისავა, სანტოსი, ფუკუნიში, კაჯი
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: ნაკამურა, კარაგუნისი, იანაგისავა, სანტოსი
მსაჯე: პერბერტ ფანდელი (გერმანია) 40 000 მაყურებელი



AFP ფრანკფურტიდან

პიდეტოში ნაკატას (№7) იაპონიამ ტაყის ფისასის საბერძნეთი მშრალზე დატოვა

ბრაზილიასთან პირველი დამარცხების შემდეგ, ევროპის ჩემპიონის, საბერძნეთის ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ოტო რეპაგელი იაპონელებთან შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობის ნაწილობრივ შეცვლას ვერ გაეცა. კერძოდ, ცნობილი ნახევარმცველის, თეოდოროს ზაგორაკისის მაგიერად „მეფე ოტომ“ ვასილის ლიკასი დასაქმა, იურკას სეიტარიდისის ნაცვლად მოედანზე ტაკის ფისასი ვიხილეთ, ხოლო იანის გუმასის საქმეს წუხელ, ოღონდ მხოლოდ 31 წუთის განმავლობაში სტატის ტაფლარიდისი აკეთებდა. მიზეზი: ზაგორაკისი შაბათს რეპაგელს დაეთხოვა და იტალიაში გავარდა „ბოლონია“-„პარმას“ პლეი აუტში სათამაშოდ. ვაგლას, მისმა ჩასვლამ ბოლონიელებს ვერ

უშველა, ისინი სერია B-ში მაინც გავარდნენ, ხოლო კვლავ ფრანკ-ფურტში დაბრუნებული ზაგორაკისი მწვრთნელმა მხოლოდ სათადარიგოთა სიაში შეიყვანა. სეიტარიდისი დამატებული გახლდათ, ხო-

ლო გუმასის შეცვლის მიზეზზე ვერაფერს მოგახსენებთ. იაპონელების თავკაცმა ზიკომ კი მექსიკასთან ნათამაშეუ ზალხს ნდობა გამოუცხადა. ერთადერთი, ვინც ბრაზილიელმა შეცვალა, მცველი

ტაკაიუკი ჩანო გახლდათ. მის მაგივრად იაპონიის ნაკრებში თავდამსხმელი კეიჯი ტამაგა გამოვიდა, რომელიც აცუში იანაგისავას დაუწყვეილდა ბერძნეთა კარის სიახლოვეს.

მაგრამ მატჩის ერთადერთი გოლი არც ტამაგას გაუტანია და არც იანაგისავას, იგი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან მოგვანებით ჩართულმა მასამ ოგურომ შეაგდო და ისე გამოიყვანა, რომ ევროპის ჩემპიონს მხოლოდ სამხრეთ ამერიკის დადი წარმომადგენელი კი არა, აზიის გუნდიც უნებეს ჩვენი მხრე დაეხმენ, რომ აზიის გუნდიც არის და აზიის გუნდიც, მაგრამ ისე კი უნდა ითქვას, რომ მოული მატჩის განსჯილობაში უკეთესი მომენტები მათე იაპონელებმა შექმნეს.

ასე და ამგვარად, ორი ტურის შემდეგ ბერძნები არა თუ მოგვების არამედ გატანილი გოლის გარეშე არიან.

მატჩის დასაწყისში ყველაზე კარგად გამოხსნდა, რომ ბერძნები იაპონელებს მაღალი ბურთების ჩაწოდებით უპირებდნენ ვარჯის ხოლო აზიელები თავის მხრე თანვიანთ ყველაზე დიდ კოხორს, ხაწწრაფეს უპირებდნენ გათამაშებას — კონტრშეტეველებზე იყვნენ მომართული.

გოლი კი ასე გავიდა: ზემოსხე ნებული მასამ ოგურო მოედანზე მხოლოდ ათი წუთის შემდეგ იყო როდესაც ნაკამურასთან ჩახედილი პასი მიიღო და ბურთი ბერძნის შეკარის, ანტონის ნიკოპოლიდისის კარში შეაგდო.

სააუზა გედი

მძისიკა 1:0 ბრაზილია
 1:0 ბორგეტი (59)
მძისიკა: სანჩეხი, გალინდო, სალიკო, ოსორიო, ზინია, პარდო, ბორგეტი, მორალესი (მედინა 73), პინედა (მენდესი 69), ფონსეკა (პერესი 46), კარმონა
მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე
ბრაზილია: დიდა, სისინიო, ლუსიო, როკე ფუნორი, ემერსონი (რენტო 66), ფილბერტო, კაკა (ფუნორი პერნამბუკანო 66), რონალდინიო, ზე რობერტო, ადრიანო, რობინიო (რიკარდო ოლივეირა 66)
მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა
გაფრთხილება: სანჩეხი, ბორგეტი, როკე ფუნორი
მსაჯე: რობერტო როზეტი (იტალია) 43 677 მაყურებელი

ერთი ანუ სამი პენალტი და გოლი



AFP პარნაიბაში

სამი პენალტის დამრტყმელმა ბორგეტმა (№9) ბრაზილიას თავით გაუტანა

კონფედერაციასთან თასი არ არის გამორჩეულად პრესტიჟული ჯილდო, თუმცადა აქაც გამოერევა-ხოლმე დასამახსოვრებელი თამაშები, წლების მერეც რომ შემორჩება მახსოვრობას.

ასეთი თამაში იყო 1999 წლის გათამაშების ფინალი, როცა ვადა-ჭედილ „ატცეკაზე“ ბრაზილია ორი გოლით უგებდა მექსიკას, მაგრამ სტადიონის პატრონებმა ანგარიში გაქეითეს, ორიც მიაყოლეს და საბოლოოდ 4:3 მოიგეს.

თუმცა ნახსენები მატჩი მხოლოდ ერთია იმ 32 შეხვედრიდან, ბრაზილიას და მექსიკას აქამდე ერთმანეთში რომ გაუმართავთ და რა გასაკვირია, ბრაზილიას გვარიანი უპირატესობა რომ აქვს ჩრდილოელ მეტოქესთან. აქამდე 19 თამაში „სელესასი“ მოეგო, ერთი მატჩი ფრედ დასრულებულა და მხოლოდ

შვიდჯერ ემარჯვა „ტრიკოლორს“. მეორე მხრივ, ბოლო ხუთ შეხვედრაში ბრაზილიელებს ერთხელაც ვერ ემარჯვათ. მექსიკა აქ-

მდე 19-მატჩიანი წაუგებელი სერიით მოვიდა და კარლოს ალბერტო პარეირაც ამაღ ამბობდა მატჩის წინ, მექსიკელები ძალიან საშიში

არიან, რაკი იციან ბურთს როგორ მოექცნენო. გუმინ კი პანოვერში ხარულ ბორგეტის თავურით მექსიკამ კიდევ

ერთხელ დასცა მსოფლიოს ჩემპიონის ჩემპიონი და კონფედერაციას თასის ნახევარფინალში გასვლაც გაინადა. ბრაზილიას კი იმავე უფლებებისთვის ბოლო ტურში ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის დამჯაბუნელი იაპონიის დასარცხება მართებს.

გუმინდელ მატჩში ბეჭი რამ თუ საინტერესო, კარგი მომენტებიც არ აკლდა, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო მეკლდე ბორგეტის სამსჯე პენალტი გახლდათ.

პირველი ტაიმის შუაში როკე ფუნორმა საჯარიმში იუხემა და ყვითელი ბარათის გარდა პენალტითაც დაისაჯა. დარტყმა ბორგეტმა ითავა, კარგა ხანს ილოცა, მერე დაარტყა, გაიტანა, მაგრამ გახარება არ დასცალდა — მსაჯმა რობერტო როსეტომ გამოიკრება ურძანა.

ბორგეტმა ისევ ილოცა, როგორც იქნა დაარტყა და ძელს გაარტყა ამჯერად მსაჯმა მექსიკელს დალონება არ აცადა და კიდევ ერთხელ დაარტყიო, ბრძანა.


ბურთთან ისევ ბორგეტი მივიდა, რა თქმა უნდა, ისევ ილოცა და ისევ არ გაუშაროლა — დიდამ კუთხურზე მოიგურია. ჩვენი კარაუდით, პირველი ორი დარტყმისას ბურთი ზუსტად თეთრ წრეში არ იდო და ხელახალი დარტყმები იმტომ გახდა საჭირო.

კოტა გეგელი


მექსიკა	2	2	0	0	3:1	6
ბრაზილია	2	1	0	1	3:1	3
იაპონია	2	1	0	1	2:2	3
საბერძნეთი	2	0	0	2	0:4	0



ვახტანგ ბალავაძე და მისი თასის მფლობელი უკრაინელი ანდრეი შეიკო




გამოცდილ დავით პოლოსიანს ფინალში ახალგაზრდა ლევან ჩაბრაძემ აჯობა



ლუკა კურტანიძე




84 კილოგრამიანთა კვარცხლბეგი: ლერი ქეთიშვილი, ტარას დანკო, მიხეილ ბაგაური და რევაზ მინდორაშვილი



ალექსი მოდებაძისა (ზემოდან) და გიორგი ნიკურაძის ფინალური ორთაბრძოლის მომენტი

შიდა ბრძოლები გარეშეთა მონაწილეობით



ტურნირი, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს უყრიდა თავს, ამჯერად ვერც ვარსკვლავთა და ვერც სტუმარი გუნდების რაოდენობით ვერ დაიკვეხნინდა. საქართველოს ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს ძირითადად ერთმანეთთან და კავკასიულ მოჭიდველებთან უწევდათ ბრძოლა. სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები უკრაინასთან ერთად სხვა სტუმართაგან სიძლიერით ამკარად გამოირჩეოდნენ, ხოლო რუსეთი, უზბეკეთი და საბერძნეთი თითო-ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. სხვა ქვეყნის შვილს ამ უქმეებზე თბილისურ ხალიჩაზე არ უჭიდავია, თუმცა ბრძოლების ნაკლებობა დიდად არც იგრძნობოდა. აი, სილამაზეზე კი რა გითხრათ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია მაყურებლის გულის მოსაგებად და მისაზიად წესებს წარამარა ცვლის, მაგრამ სანახაობრივი მხარე რომ ჯერაც ნაკლებად სასიამოვნოა, ამაზე არავინ კამათობს. ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და ოპტიმალურ ვარიანტამდეც ძალიან შორი გზაა, მაგრამ განსჯა სპეციალისტთათვის მიგვიჩნია, ჩვენ კი ტურნირზე ვთქვათ.

დავიწყეთ იქიდან რომ თოთხმეტედან ათი ოქრო საქართველოში დარჩა. ქართველმა თავისუფლებმაც და ბერძენ-რომაელებმაც მხოლოდ ორ-ორი პირველი ადგილი დათმეს. ადრეც ვწერდით, საერთაშორისოზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე ჩვენებურთათვის შიდა კონკურენცია იყო. ნაკრებთა მწვერულებზე ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას აკომპლექტებენ და მთავარი ბრძოლებიც ამ სიაში მოსახვედრად გაიმართა.

თავისუფლებში ყველაზე კარგი სანახაურო 55 კილოგრამის ფინალი გამოდგა, რომელშიც გონა კირიტიძემ ახლახან ევროპული ბრინჯაოს მომგები ბესიკ გუჩაშვილი დაამარცხა და სანაკრებო განაცხადში შესვლა ფაქტობრივად აქედანვე გაინაღდა. ოქროს ვერც დავით პოლოსიანი (60 კგ) შესწვდა. საქართველოს ნაკრების ამ სტაჟთან წევრს ფინალში ახალგაზრდა ლევან ჩაბრაძემ აჯობა.

მოსალოდნელზე ცუდი შედეგები აჩვენეს ოლიმპიური გუნდის წევრებმა — გელა საღირაშვილმა (74 კგ) და რევაზ მინდორაშვილმაც (84 კგ). პირველი სამეულშიც ვერ შევიდა, ხოლო მეორემ ბრინჯაო იკმარა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მინდორაშვილს ფინალისკენ მიმავალი გზა

უკრაინელმა ევროპის ჩემპიონმა ტარას დანკომ გადაუკეტა. მოგვიანებით მან ფინალში ლერი ქეთიშვილს აჯობა და ოქრო ჩამოიკიდა. 74 კილოგრამშიც უკრაინელმა იპირველა. ანდრეი შეიკომ ბილო ბრძოლაში ნიკოლოზ ტლაშაძეს სძლია და ოქროს მედალიან ერთად ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასიც მოიპოვა.

66 და 96 კილოგრამიანებში თურმანის გუნდის ძველმა, გამოცდილმა გვარდიამ იმარჯვა. ოთარ თუშიშვილი და ლუკა კურტანიძე კონკურენტებსაც და ჩამოსულსაც ერთი თავით სჯობდნენ.

მძიმე წონაში პირველობა ალექსი მოდებაძემ დაიბრუნა. საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატმოვლილი დავით თიათაძეც კი ამჯერად უმედელოდ დარჩა. მას მოულოდნელად გიორგი ნიკურაძემ მოუგო. ამ 18 წლის ბიჭმა ფინალშიც გააღწია, იქ კი მოდებაძესთან დაამარცხა.

ოთარ გაღლაკელიძე
თაის სუზალი
55 კგ
1 გონა კირიტიძე (საქართველო)
2 ბესიკ გუჩაშვილი (საქართველო)
3 არიფ ზამანოვი (აზერბაიჯანი)
3 ვაგინ სიმონიანი (სომხეთი)
60 კგ
1 ლევან ჩაბრაძე (საქართველო)
2 დავით პოლოსიანი (საქართველო)
3 ამირან წიქვაძე (საქართველო)
3 კახა დობორჯგინიძე (საქართველო)
66 კგ
1 ოთარ თუშიშვილი (საქართველო)
2 ცოტნე ბარამიძე (საქართველო)
3 კახა ნოზაძე (საქართველო)
3 ემილ აზიზოვი (აზერბაიჯანი)
74 კგ
1 ანდრეი შეიკო (უკრაინა)
2 ნიკოლოზ ტლაშაძე (საქართველო)
3 დავით ახალმოსულიშვილი (საქართველო)
3 გიორგი გობეჯიშვილი (საქართველო)
84 კგ
1 ტარას დანკო (უკრაინა)
2 ლერი ქეთიშვილი (საქართველო)
3 რევაზ მინდორაშვილი (საქართველო)
3 მიხეილ ბაგაური (საქართველო)
96 კგ
1 ლუკა კურტანიძე (საქართველო)
2 მანგია ყამარაული (რუსეთი)
3 ზვიად სისაური (საქართველო)
3 ვუგარ ყურბანოვი (აზერბაიჯანი)
120 კგ
1 ალექსი მოდებაძე (საქართველო)
2 გიორგი ნიკურაძე (საქართველო)
3 აკაკი საბაშვილი (საქართველო)
3 კობა ბზიკაძე (საქართველო)

გურამ დოღვაძე/აპოლონი ფოტო

გურამ დოღვაძე/აპოლონი ფოტო

გურამ დოღვაძე/აპოლონი ფოტო

გურამ აპოლონი ფოტო

გურამ აპოლონი ფოტო

გურამ აპოლონი ფოტო

ბოლო პაპონზე შეხვარნი ბიჭის აბჯანი

პარკინ-რომაელი საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ტრავმირებული მუხრან ვახტანგაძე და აკაკი ჩაჩუა აკლდა მათ წონებში ფავორიტებად ამასწინანდელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები — დავით ბუდინაძე (60 კგ) და ბადრი ხასაია (84 კგ) მიიჩნეოდნენ, მაგრამ ისე მოხდა, კვარცხლბეკამდე ვერც ერთი ვერ მივიდა.

ბედნიანებმ გიორგი ტაბატაძესთან წააგო, მოგვიანებით კი ტაბატაძეს მომავალმა ჩემპიონმა ზვიად აბულაძემ აჯობა.

ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია ყველაზე მეტად სწორედ აბულაძის შედეგიანობას აღფრთოვანებინა. „ბოლო მომენტამდე ვერ ვწყვეტდით, საერთოდ დაგვეყენებინა თუ არა იგი ამ ტურნირზე, ერთი საათით ადრე ჩაეწერეთ განაცხადში და ნახეთ, როგორ იჭიდავს! — გვითხრა დარჩიამ — ჩემპიონიც ვერ გამხდარიყო, საამაოდ ისიც ეყოფოდა, ერთ-ერთ საწყის ეტაპზე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორ სომეხ, კარენ მანაცაკიანთან რომ მოუგო“.

ხასაიას უკრაინის სახელით მოჭიდავე ლუკა ბომაშვილმა სძლია და რადგან მერე თავადაც წააგო, ჩვენებურს ბრინჯაოსკენ მიმავალი

გზაც გადავიდა. 84 კილოგრამში ოქროს ახალგაზრდა თედო კუპატაძე დაუეფლა და თან გივი კარტოზიას სახელობის თასიც ირგუნა. განსაკუთრებით გამოსარჩევი მისი ფინალური ბრძოლაა, რომელშიც ძლიერ სომეხს, არმენ გეგამიანს ბავშვით გაუსწორდა.

66 კილოგრამშიც ქართულ-სომხური ფინალი შედგა. იქ უკვე ოქრო სტუმარს დარჩა. ვაგრამ ოპანიანმა მუხრან მაჭუტაძეს მოუგო.

ვერცხლი იკმარა მსოფლიოს ჩემპიონმა მანუჩარ კვიციანიამ (7 კგ), თუმც ისე, რომ ხალიჩა დამარცხებულს არ დაუტოვებია. ტრავმის გამო იგი უზბეკეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ მელელაშვილის წინააღმდეგ ფინალის საჭიდაოდ საერთოდ ვერ გავიდა.

საკმაოდ ადვილად იჩემპიონეს და ბუდაპეშტურ ნაკრებშიც ფაქტობრივად აქედანვე ჩაეწერნენ რამაზ ნოზაძე (96 კგ) და მირიან გიორგაძე (+120 კგ). რამაზის ჭიდაობისას სულაც ისე ჩანდა, თითქოს ყველას ნახევარი ძალით უსწორდებოდა, ყველაზე მეტად კი სომეხი რობერტ პეტროსიანი გაიმეტა ოქროსთვის ბრძოლაში.

უმსუბუქესი წონა ბოლოსკენ იმითომ მოვიტოვეთ, რომ მსოფლიოს

ჩემპიონატის საგზურისთვის მეგრძობლი ორი უმთავრესი კანდიდატი გადამწყვეტ შეხვედრაში დაუპირისპირდა ერთმანეთს ოლიმპიადამოვლილმა ირაკლი ჭოჭუამ შარშან, წლის ბოლოს ნაკრებში ადგილი საქართველოს ჩემპიონატზე დაკარგა. მაშინ ჩემპიონი მირიან ნიშნიანიძე გახდა და ევროპის ჩემპიონატის განაცხადშიც დამსახურებულად ჩაეწერა. ამჯერად უფრო ძლიერი ჭოჭუა გამოდგა, ნიშნიანიძეს კი ბრინჯაო დარჩა. გაგივირდებათ, თუკი გადამწყვეტი შეხვედრა იყო, ერთმა ოქრო, ხოლო მეორემ ბრინჯაო როგორ მოიპოვაო. საქმე ისაა რომ 55 კილოგრამში სულ ხუთიოდე მოჭიდავე მოგროვდა და ჩემპიონ-პრიზიორებიც წრიული სისტემით გამოვლინდა.

ბოლოს ერთი ფილასული სიახლეც, რომელზეც ზემოთ ყურადღება შეგნებულად არ გავამახვილეთ. თბილისის ტურნირზე კვლავაც ვიხილეთ ჩოქბავში ჩაყენების წესი, თან იმდენჯერ, თავის დროზეც რომ არ გვინახავს.

ოთარ გაღვარებული ბერძენულ-რომაული

- 55 კგ
- 1 ირაკლი ჭოჭუა (საქართველო)
 - 2 გოდერძი დავითაძე (საქართველო)
 - 3 მირიან ნიშნიანიძე (საქართველო)
 - 3 ვარუჟან ბაგუმიანი (სომხეთი)

- 60 კგ
- 1 ზვიად აბულაძე (საქართველო)
 - 2 ზურაბ ზავრაშვილი (საქართველო)
 - 3 რომან უზგიაძე (საქართველო)
 - 3 კარენ მანაცაკიანი (სომხეთი)

- 66 კგ
- 1 ვაგრამ ოპანიანი (სომხეთი)
 - 2 მუხრან მაჭუტაძე (საქართველო)
 - 3 შმაგი გოჭაძე (საქართველო)
 - 3 კახა ცირამუა (საქართველო)

- 74 კგ
- 1 ტარიელ მელელაშვილი (უზბეკეთი)
 - 2 მანუჩარ კვიციანია (საქართველო)
 - 3 გიორგი ჯინჭელაშვილი (საქართველო)
 - 3 სერგეი სოლოდკინი (საბერძნეთი)

- 84 კგ
- 1 თედო კუპატაძე (საქართველო)
 - 2 არმენ გეგამიანი (სომხეთი)
 - 3 პაატა ზაქარაძე (საქართველო)
 - 3 შალვა გადაბაძე (საქართველო)

- 96 კგ
- 1 რამაზ ნოზაძე (საქართველო)
 - 2 რობერტ პეტროსიანი (სომხეთი)
 - 3 პაატა დვალაძე (საქართველო)
 - 3 პეტრე მეტრეველი (საქართველო)


- +120 კგ
- 1 მირიან გიორგაძე (საქართველო)
 - 2 გიორგი ჯობაგა (საქართველო)
 - 3 ილია სამხარაძე (საქართველო)
 - 3 ზაზა სილაგაძე (საქართველო)




კარტოზიას თასის მფლობელი თედო კუპატაძე



გიორგი ვარამიანი კახა ცირამუსთან ბრძოლაში ბრინჯაოც დაკარგა და მძიმედ დაშავდა



96 კგ ფინალი: რამაზ ნოზაძე და რობერტ პეტროსიანი





ვაგრამ ოპანიანისა და მუხრან მაჭუტაძის ფინალურ ბრძოლაში თემურ ყაზარაშვილმა იმსაჯა



ეს ესაა მირიან გიორგაძემ გიორგი ჭოხბავას სძლია

ვაჟების გაღი

უსტაბაში ჰეთ თრითის მიჯნასთან



როჯერ ფედერერი

ლია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ზედიზედ სამი უიმბლდონობა კაცმეოვრეთათან მხოლოდ ორს — ლეგენდარულ შედ ბიორნ ბორგსა და ლეგენდარულსავე ელინაოპერიკელ პიტ სამპრასს მოუვიათ. შარშანდელ და შარშანდელ ჩემპიონ როჯერ ფედერერს წლეულს შეუძლია, ამის მიმდევრი მესამე მტოვრე გახდეს.

საამისოდ ყველანაირი წანამდვარი არსებობს — ამქრის 23 წლის შვეიცარიელი უსტაბაში უკვე სამი წელია, კონდარზე არ დამარცხებულა და ზედიზედ 29-ე საამსაფრო გამარჯვებას მოიძევეს. მან ახლახანს ზედიზედ მესამედ იმარჯვა ჰალეობაზე და ფინალში მარატ საფინს რომ აჯობა, ამით მასთან ავსტრალიის დია პირველობის ნახევარფინალში ნაწვრევი მარცხისთვისაც ირევანშა და როლანგაროსობის ნახევარფინალში რაფაელ ნადალთან წაფორხილება-საც დავიწყების, უფრო სწორად კი გამარჯვების ნაცარი მიაყარა. ანუ ის კვლავინდებურად ზეგარდმო ფორმაშია და არც თუ თავდაჯერებულობის თვალსაზრისით აქვს პრობლემები. ოღონდ, ეს თავდაჯერებულობა მას თეოკმაყოფილებაში არ ეზრდება და სხვათა შესაძლებლობების ფხიზლად განჭვრეტის უნარსაც არ უბლაგვებს.

„ეფიქრობ, რომ თამაშის გაუმჯობესება კიდევ შემოძლია — ამბობს ის — ეს აუცილებელიცაა, რადგანაც უიმბლდონზე რამდენიმე მძლავრად მომწოდებელ და სახიფათო მეჩო-

გნესთან დაბირისპირებაც მომიწევს. მათთან წარმატების მისაღწევად სწორედ მოწოდებისა და ბადესთან თამაშის დახვეწაზე უნდა ვიზრუნო.“

ფედერერის უმთავრეს მეტოქეებად 2002 წლის ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი და შარშანდელი ფინალისტი ენდი როდიკი ითვლებიან, მაგრამ შვეიცარიელს მათთან ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვს — შარშანდელ უიმბლდონობაზე მან ერთსაც და მეორესაც გაუსაჩივრებლად და ხომიანად აჯობა. და იმის მიუხედავად, რომ კისკისა თხზიციკი და ეისმოტყლამუნე როდიკი — ვინაც თქითა კვირამო მთუიტრასავე დარად ზედიზედ მესამედ იმარჯვა სტელაარტუობაზე — ნატიფი აღბელის შესამუსრად ბოდმიანად ილესე-ბიან, მათი საუკეთესო მანსი მანც ის იქნება, თუკი ფედერერს ადრეწრებში უეცრად გამომტყვრალი რომელიმე მძლავრი იმსხვერპლებს.

„როჯერი, რასაკვირველია, ფავორიტია — ამბობს ჰიუიტი — მას მხოლოდ ოთხი-ხუთი მეჩოგნე თუ შეეცილება.“

უსტაბაშის მანსებს ასევე ზორად აფასებს ტურნირის შეიდგზის გამარჯვებული პიტ სამპრასიც — ის თვლის, რომ ფედერერი ახლა მთელ ამქარს ერთი თავით აღემატება და ამდენად მას ჩოვანს ვერავინ შეუშლის.


თუმცა საქმე არც მთლად ეგრე გადაწყვეტილი უნდა იყოს სამივე მთავარფავორიტი — ფედერერიც, ჰიუიტიც და როდიკიც — ბალახისთვის ზედგამოჭრილი, კლასიკური „მოაწოდებ-ბადესთან მიტერ“ ყაიდის მეჩოგნენი სულაც არ არიან და, თუკი საშიშროება საიდანმე მოელით, სწორედ რომ ამგვარად მობურთალი ჩოვლაყებისგან.

ერთი ამათგანია მოცდაათწლისეული ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, რომელიც თავის უკვე მე-12 უიმბლდონობაზე გაიძლის და, ვინ იცის, იქნებ ახლა, კარიერის მიწურულს მანც გაისროლოს ვინგინდავინ კუნძულელისგან ფრედ პერის ასე 1936 წლის მერე ეგრეც ვეღარ გასროლილი არბადლები.

თუმცა საყოველთაო აზრით ჰენმანზე უფრო სახიფათოთი უნდა იყვნენ ათლავაშა ზორვატები — გორანიშვილად წოდებული მაროი ანჩიჩი, შარშანდელი ნახევარფინალისტი და კაცი, ვინაც (2002 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში) ფედერერს ვერ-ვერობით უკანასკნელი საბალახო მარცხა აგება, და ივო კარლოვინი, კორტის დონიდან ორი მეტრისა და 8 სანტიმეტრის ამთვეული გოლიათი, ვისი მოწოდებაც მეორე სართულიდან ჩაბრაზუნებულსა ჰგავს და ვის ამ ბრაზუნსაც უკვე ზედიზედ ოჯერ ემსხვერპლა ჰიუიტი (ერთხელ 2003 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში და მეორედ ახლახანს, სტელაარტუობის მეოთხედფინალში).

ბარაკიან ბურთაობას მოელიან მარატ საფინისგანაც, რომელიც — ალბათ გეხსომებათ — შარშან პირველსავე წრეში თვისტომ ტურსუნოვისგან რომ იძლია, ბალახსე უთამაშებლობის ალთქმას დება, მაგრამ ახლახანს ჰალეობაზე უჩვეულოდ კარგი გარჯის შემდეგ კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. მის მსგავსად შუშუნა და დაუპროვონობარე-ბელი თამაშის იმედი გვაქვს როლანგაროსობის ჩემპიონ რაფაელ ნადალისგანაც. მართალია, 19 წლის მადლირკელი ფასკუნჯი ჰალეობაზე პირველ წრეშივე წაფორხილდა. მაგრამ როგორც დავადვე სამართლიანად განმარტავდა, ეს ვადალილობის ბრალი იყო. ახლა კი რაფა უკვე რიგთანად დასვენებული უნდა იყოს და თუმცა ბალახს ვერ სათანადოდ ვერ გასჩვევია, მის ამოუწყავ ილაჯსა და გაუბზარავ სული-სკვეთებას აქაც არანაკლები ფასი ედება.

უიგბლდონის ჩამპიონები 1961 — 2005




ბიორნ ბორგი

1960	ნილ ფრეიზერი	1982	ჯონ მაკინროი
1961	როდ ლეივერი	1983	ჯონ მაკინროი
1962	როდ ლეივერი	1984	ჯონ მაკინროი
1963	ჩაკ მაკინლი	1985	ბორის ბეკერი
1964	როი ემერსონი	1986	ბორის ბეკერი
1965	როი ემერსონი	1987	პატ კეში
1966	მანუელ სანტანა	1988	სტიფან ედბერგი
1967	ჯონ ნიუკომბი	1989	ბორის ბეკერი
1968	როდ ლეივერი	1990	სტიფან ედბერგი
1969	როდ ლეივერი	1991	მიხაელ შტიხი
1970	ჯონ ნიუკომბი	1992	ანდრე აგასი
1971	ჯონ ნიუკომბი	1993	პიტ სამპრასი
1972	სტენ სმიტი	1994	პიტ სამპრასი
1973	იან კოდეში	1995	პიტ სამპრასი
— ალექსანდრე მეტრეველი 6-1, 9-8, 6-3			
1974	ჯიმი კონორსი	1996	რიჩარდ კრაიევი
1975	არტურ ეში	1997	პიტ სამპრასი
1976	ბიორნ ბორგი	1998	პიტ სამპრასი
1977	ბიორნ ბორგი	1999	პიტ სამპრასი
1978	ბიორნ ბორგი	2000	პიტ სამპრასი
1979	ბიორნ ბორგი	2001	გორან ივანიშვილი
1980	ბიორნ ბორგი	2002	ლეიტონ ჰიუიტი
1981	ჯონ მაკინროი	2003	როჯერ ფედერერი
		2004	როჯერ ფედერერი

ვინ გაიჯიჯილავს უიბლდონურ კოინდარზე



კიმ კლაისტერსი



ვენსტინ ენგ-არდენი

ტში ანუ რიგზე და გაქეჩილი ხალხი ვარაუდობს, რომ თუკი უმცროსი უილიამსა საპირველწერი მოულოდნელობებს გადაურჩება, მერე მისი შერევა ძალიან უნდა გაჭირდეს. მეოთხედფინალში სწორედ ამის გაკეთებას ეცდებოდა ჰინკა ბელგიელი, ვინაც როლანდგაროსობაზე უბადლო გამტრიალების შემდეგ ჩვენ უიბლდონობის უმთავრეს ფავორიტად მიგვაჩნია.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ერთადერთია, რაიც 23 წლის უუსტინს დიდი მუხარადის ოთხეულიდან მოუგებელი დარჩა. იქაურ ფინალში ის 2001-ში გარჯილა, მაგრამ ჯერაც ახალბედამ მან მაშინ ვერაფერი გააწყო დიდების უნიტიში მყოფ ვინუს უილიამსთან.


თუკი უუსტინი სერენას გასცდება, ნახევარფინალში მას სწორედ შარაპოვასთან თამაში მოუწევს. როლანდგაროსულ მეოთხედფინალში ჰინკა წანწკლა ციმბირელს ტყავი გააძრო. ვითომ ახლა რატომ უნდა მოხდეს სხვანაირად?!

„მასთან თამაშის სულაც არ მეშინია — ამბობს სუპერმარია — თინარი მისი უსაყვარლესი საფარია, ბალახზე კი ყველაფერი უფრო სწრაფად და მალე ხდება. ეს ჩემი უსაყვარლესი ტურნირია და თავს არ დავზოგავ, აქ სხვები რომ არ გავაჯევილო.“

მაშინ, როცა ბადის ქვედა ნახევარში ასეთი დიდი ბრძოლებს მოლოდინია, ზედა ნახევარში ამქრის პირველსან ლინდი დევენპორტს თითქოს უღრუბლო ორკვირულს უწინასწარმეტყველებენ. 29 წლის ამერიკელი ახლა მართლაც რიგვან ფორმაშია და არცთუ ჯანის უმრთე-

ლობას უჩივის, თანაც აქ 1999-ში უჩემპიონია კიდევ და ამდენად იცის, ლონდონურ კოინდარს ჩოვანი როგორ მოარგოს.

თუმცა მერვედფინალში მას ერთი უსიამოვნება მაინც უნდა ელოდოს და ამ უსიამოვნებას კიმ კლაისტერსი ჰქვია. ბუთქუნა ბელგიელმა, ვინაც შარმანდელი უიბლდონობისას მავის ტრავმის გამო იუქმა, გასულ კვირაში ისტბორნობაზე წლის მესამე, ხოლო კარიერის 24-ე ტიტული იშოვა და საუიბლდონოდ გამარჯვებულის განწყობა შეიმარაგა. ის ახლა დაშოშიან ფორმაშია და არ არის გამორიცხული, ორი კვირის თავზე მორიგ შიდაბელგიურ სლეშფინალში თვისტომ ენგ-არდენისგან ადრე ნაწვენეი სლეშმარცხების გამო შურისგებას ეცადოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის საწინააღმდეგოდ არაფერი გვექნება და, ვინძლო, ძალიან არც თქვენ გავიქედეთ.



მარია შარაპოვა

შარმანდელი ბრწყინვალე და მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ მარია შარაპოვა მრავალმილიონიან ინდუსტრიად გადაიქცა. მისი ლოლომარწყვა სახე და 18 წლის კენარი სხეული არაჩვეულებრივად მომგებანი ბრენდი გამოდგა და თავბრულამხვევი ბიზნესწარმატებებით შეთამამებულმა მაშამ თავისი სახელობის სუნამოც კი გამოუშვა.

მაგრამ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სუპერმარიას ბიზნესზე მეტად ისევ იმაზე მოუწევს ფიქრი, რამაც მას ბიზნესის ალაყაფი შეადგინა. მან ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ მისი შარმანდელი გამარჯვება სულაც არ იყო შემთხვევითი თუ ერთჯერადი ფაქტი და რომ უიბლდონის მანამდე ლახიერ სერენა უილიამსს მან გვირგვინი დასტურ დამსახურებულად ჩამოართვა.


ეს კი ძალიან დიდი გამოცდა იქნება, მით უფრო, რომ ედგასტონში, სადაც შარმან მოხვეჭილი ტიტული დაინარჩუნა და წაუგებელი ბალახსურია 17 მატჩამდე დაიგრძელა, არც ერთი შეხვედრა თავიდან ბოლომდე თანაბრად არ ჩაუტარებია და გამჭოლ, უბასრეს დარტყმებს ნიადაგ ბითურ იაღლიშებსაც უნაკვლებდა. ამის გამო იყო, ხუთიდან სამი სამსუტანი განდაგანის გამართვა რომ მოუხდა.

ცხადია, უიბლდონზე ის კვლავაც რისკიანად და „ყველაფერი-ან-არაფერის“ სტილით ითამაშებს, მაგრამ, თუკი მეორე პლანის მოთამაშებთან ამგვარი ავანტიურისტული ბურთაობა არც ისეთი საშიშია, იმავ სერენასა თუ უუსტინ ენგ-არდენის წინააღმდეგ მას მეტი გამჭირაზობა და ტაქტიკური სიბრძნე მართებს.

წლევეანდელი ავსტრალიობის ჩემპიონი სერენა — და ეს თქვენც უნდა გახსოვდეთ — როლანდგაროსობას კოჭის ტრავმის გამო დააკლდა. ახლა კოჭი თითქოს კომიტე-



უიბლდონის ჩემპიონები 1961 — 2005



მარტინა ნაგრატილოვა

1960	მარია ბუენო	1982	მარტინა ნაგრატილოვა
1961	ანჯელა მორტიმერი	1983	მარტინა ნაგრატილოვა
1962	კარენ ჰანც სუსმანი	1984	მარტინა ნაგრატილოვა
1963	მარგარეტ სმიტი	1985	მარტინა ნაგრატილოვა
1964	მარია ბუენი	1986	მარტინა ნაგრატილოვა
1965	მარგარეტ სმიტი	1987	მარტინა ნაგრატილოვა
1966	ბილი ჯინ კინგი	1988	შტეფი გრაფი
1967	ბილი ჯინ კინგი	1989	შტეფი გრაფი
1968	ბილი ჯინ კინგი	1990	მარტინა ნაგრატილოვა
1969	ენ პეიდონ ჯონსი	1991	შტეფი გრაფი
1970	მარგარეტ სმიტ კორტი	1992	შტეფი გრაფი
1971	ივონ გულაგონგი	1993	შტეფი გრაფი
1972	ბილი ჯინ კინგი	1994	კონიტა მარტინესი
1973	ბილი ჯინ კინგი	1995	შტეფი გრაფი
1974	კრის ევერტი	1996	შტეფი გრაფი
1975	ბილი ჯინ კინგი	1997	მარტინა ჰინგისი
1976	კრის ევერტი	1998	იანა ნოვოტნა
1977	გიორჯინია უეიდი	1999	ლინდსი დევენპორტი
1978	მარტინა ნაგრატილოვა	2000	ვინუს უილიამსი
1979	მარტინა ნაგრატილოვა	2001	ვინუს უილიამსი
1980	ივონ გულაგონგ კოული	2002	სერენა უილიამსი
1981	კრის ევერტ ლიდი	2003	სერენა უილიამსი
		2004	მარია შარაპოვა




ფლორენსიის მინაში ჩაპარდნილი

ფლორენციაში მძლეოსანთა ევროთასის გათამაშება დაიწყო და სხვა მრავალთან ერთად საქმეში რუსი სივრცეზე მსტომელი ლილია შობუხოვაც ჩაბმულა. მინაში ამოგანგვლაც მისი საქმის შემადგენელი ნაწილია.


AFP ფლორენციიდან

ორი ათასი წელია

განთქმული დრაკონინავთა შეჯიბრი გუშინ დაიწყო ჰონკონგის ვიქტორიას ნავსადგურში. ეს შეჯიბრი 2 ათასი წელია, ტარდება და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გასჩენია მიმდევარი.



AFP პეკინიდან



AFP პეკინიდან

ფიდელი და ბურთი

კუბის და ვენესუელის მთავრობებმა აღბას თამაშები დააფუძნეს, რამაც სამხრეთამერიკელთა დაახლოებას უნდა შეუწყოს ხელი. გახსნა ჰავანის კოლიზეუმში იყო, ფიდელმა კი არ იცოდა, რა ექნა ბურთისთვის.

სარბიელი

საერთოულო გაზეთი

გამოცემა 1990 წლის
28 აპრილიდან

გამოცემის ორგანიზაცია,
საქართველოს, ოსეთისა და
სამხრეთკავკასიის
პრესსამსახურის და მხარის

გამომცემელი: შარბიელი შარბიელი
დირექტორი: გიორგი შარბიელი
მთავარი რედაქტორი: ილია შარბიელი
რედაქტორი: თამაზ შარბიელი
პასუხისმგებელი რედაქტორი: ანდრეას შარბიელი
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა შარბიელი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით შარბიელი
გაზეთის მხარდები: დიანა ნინოშვილი, კახა შარბიელი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიქტორია შარბიელი
ვებ-გვერდი: www.sarbieli.com.ge
დასამუშავებელი: ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შარბიელი
ინფორმაციის რედაქცია: ვაჟა ხუციშვილი, კლავდიკა
თიანაშვილი, ელენე ირაკლიანი
ფოტორეპორტიორები: ვერა დიმიტროვა, პეტრე კვიციანი
სტილისტები: ნათელა კორნოზიანი, დიანა ნინოშვილი
კომპიუტერული ცენტრი: დიანა ნინოშვილი, ნათელა ნინოშვილი,
ელენე გულუგაშვილი, რუსუდან კოსიანი, ფატი დვალისკელი,
მადია დოგრაშვილი, ზვიად მუსიაშვილი, თეგვიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შარბიელის გამზ. 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზღვრო მისამართი
თბილისი -- 79, საზღვრო
მუშაობის ტერიტორია: 39-48-29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieli.com.ge>